# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia**

KA030148762429320

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/3538** **23 / მარტი / 2020 წ.**

ა(ა)იპ სტუდია ,,ეიდისი''-ს თავმჯდომარეს
ქალბატონ გულნარა ბიბილეიშვილს
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #76ბ.

ქალბატონო გულნარა,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტმა განიხილა მიმდინარე წლის 22 თებერვლის თქვენი N00,08 წერილი, რომელიც ეხებოდა თქვენი ორგანიზაციისთვის ქ. თბილისში, დასახლება გლდანულა, კორპუსი N4-ში მდებარე ფართის გადმოცემის მიზნით სსიპ ქონების ეროვნულ სააგენტოსთან შუამდგომლობის საკითხს.
გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N684 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მომსახურებათა გეგმიური ვიზიტის ფარგლებში 2019 წლის 22, 23, 24 ოქტომბერს განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგად („მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა“) გაცემული რეკომენდაციების (წერილი #01/19951 26.11.2019წ.) შესრულების შესახებ ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების შემდგომ, რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესაბამისად, განვიხილავთ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ზემოაღნიშნული ფართის გადმოცემის საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის შესაძლებლობას.
ამასთანავე, გაცნობებთ, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარე ეტაპზე გეგმიური მონიტორინგის ვიზიტები შეჩერებულია. შესაბამისად, ხსენებული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმება განხორციელდება მოგვიანებით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე